პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ᲚᲔᲚᲝ

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფსაბჭოთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

6 იანვარი, ოთხშაბათი, 1988 წ.
№ 4 (9665) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ᲙᲝᲝᲠᲓᲘᲜᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ

ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში კოოპერატივი სულ უფრო ფართოდ და მკვიდრად იკიდებს ფეხს. ამას არ შეიძლება არ მივესალმოთ. კოოპერატივს შეუძლია შეავსოს ის ხარვეზები, რაც სავადახვა დარგში და საქმიანობის ზოგიერთ სფეროში ჯერ კიდევ გვაქვდება. ყოველ ჩვენგანს ახარებს, რომ ბოლო ხანებში სპორტული კოოპერატივების შექმნის თაობაზეც გამოჩნდნენ. ამ ექვსი თვის წინათ „ᲚᲔᲚᲝᲛ“ წამოაყენა წინადადება სასკოლო საცურაო აუზებზე კოოპერატივის ჩამოყალიბების შესახებ. წინადადება მოიწონეს, სახალხო დეპუტატების თბილისის რაიხაბჭოს აღმასკომები მხარში ამოუდგნენ ენთუზიასტებს და ახლა ზოგან ასეთი კოოპერატივი წარმატებით მუშაობს. რამდენიმე სასკოლო საცურაო აუზი, წლების მანძილზე რომ უმოქმედოდ იყო, ამუშავდა, ნორჩი თაობისა და მოსახლეობის სამსახურში ჩადგა. აი, რა შეუძლია დაინტერესებას. სასკოლო საცურაო აუზებზე კოოპერატივის შექმნის მსურველებს სიტემატური კავშირი ჰქონდათ რესპუბლიკის სპორტსახკომის შესაბამის განყოფილებასთან. ისინი აქ იღებდნენ რეკომენდაციებს და სწორი მიმართულებით წარმართავდნენ მუშაობას. საბოლოო ანგარიშით ამით საქმემ მოიგო. კოოპერატივის შექმნაც დაჩქარდა და მუშაობაც ისე წარიმართა, როგორც საჭირო და სასურველი იყო.

სამწუხაროდ, კოოპერატივის შექმნის ყველა მსურველი როდი მიმართავს დახმარებისათვის რესპუბლიკის სპორტსახკომს.

რა დასამალია: ზოგჯერ ხდება, ენთუზიასტები სპორტული კოოპერატივის შექმნას გადაწყვეტენ, იდეებითა და ზოგადი გეგმებით იწონებენ თავს, ბოლოს კი ირკვევა, რომ ილუზიასა და პრაქტიკულ საქმეს შორის ძალიან დიდი ზღვარია. არადა, თავდაპირველი რეკომენდაციები და სპეციალისტების რჩევა-დარიგება უგულებელყოფილი რომ არ ყოფილიყო, მონდომება ფუჭად არ ჩაივლიდა. ასეც არ იყოს, წესია: ვისაც სურს ამა თუ იმ სფეროში კოოპერატივი შექმნას, შესაბამის ზემდგომ ხელმძღვანელ ორგანიზაციას უნდა მიმართოს რჩევისა და დახმარებისათვის, რაც თავისთავად შეთანხმებასაც ნიშნავს.

რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას კოოპერატივების სახით დიდი ძალა ემატება. ვიმეორებთ, ამას მივესალმებით, მაგრამ სურც იმ ორგანიზაციებს ავუვლით გვერდს, რომლებიც დარგში მუშაობის წარმმართველები და კოორდინატორები არიან. ახე აჯობებს საქმისათვის.

ᲓᲐᲒᲒᲔᲓᲔᲑᲝᲓᲔᲗ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐ... ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘᲗ

ᲑᲣᲨᲘᲜ თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან შინ დაბრუნდა. გთავაზობთ სახელდახელო ინტერვიუს დინამოელთა მწვრთნელთან ᲗᲝᲗᲐ ᲯᲔᲘᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ

ეროვნული ბიბლიოთეკა



მთავარი პრიზი, რომელიც თბილისის „დინამომ“ შინ ჩამოიტანა.

● დასავლეთ გერმანიაში თქვენ მიწვეული იუავთ ბრემენის „ვერდერის“ საშობაო ტურნირზე. როგორი იყო ტურნირის შემადგენლობა?

— „დინამოსა“ და „ვერდერის“ გარდა ტურნირში მონაწილეობდნენ გდრ-ის „კარლ-მარქს-შტადტი“, გფრ-ის „ბლუ-ვაისი“ და „ჰანოვერ-96“, ლიეჟის „სტანდარდი“.

● ჩვენ მხოლოდ მშრალი ცნობა მივიღეთ ბრემენის ტურნირის შესახებ.

— დიახ, პირველი მატჩი ანგარიშით 3:8 წავაგეთ „ჰანოვერთან“, იმავე დღეს „კარლ-მარქს-შტადტს“ ვეთამაშეთ — 3:3, ეს მატჩი რომ მოგვეგო ნახევარფინალში გავდიოდით.

● რა სიხტემით და რა პირობებში ჩატარდა შეჯიბრება?

— დღეში დაგეგმილი იყო ორორი მატჩი, თითოეული 15-15-წუთიანი ტაიმებით. პირობები, განსაკუთრებით ჩვენთვის, უჩვეულო გახლდათ, ვთამაშობდით ჰოკეის ზომის მოედანზე, დახურულ დარბაზში, ხელოვნურსფარიან მოედანზე. ისევე, როგორც ჰოკეიში, კედლებიდან არეკნილი ბურთი თამაშში ითვლებოდა.

ფინალში „ვერდერი“ შეხვდა „ბლუ-ვაისს“. მასპინძლები იგებდნენ, მაგრამ მატჩის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე ყველაფერი შეიცვალა და „ვერდერმა“ წააგო 3:6. ამგვარი მოულოდნელობები ახლავს ასეთ ტურნირებს.

● ტურნირისადმი ინტერესზე რას იტყვით?

— ბრემენში თამაშებს დიდი ინტერესით მოელოდნენ. წარმოუდგენლად დიდი იყო აჟიოტაჟი, დარბაზი, რომელიც 8 ათას მაყურებელს იტევს, ყოველთვის გადაჭედილი იყო, ცარიელ ადგილს თვალს ვერც კიბეებზე მოკრავდით. აქ განსაკუთრებული ინტერესით, თურმე, ტურნირში თბილისის „დინამოს“ მონაწილეობას მოელოდნენ. ყველა ფიქრობდა, რომ „ვერდერ“-„დინამოს“ პაექრობა აქაც გაგრძელდებოდა. როგორც ჩანს, უეფა-ს ტურნირში მონაწილეობით „დინამომ“ საერთოდ დიდი შთაბეჭდილება დატოვა და ტურნირში ყველაზე ანგარიშგასაწევ გუნდად იქცა.

● საშობაო ტურნირის შემდეგ, როგორც შევიტყვეთ, ჩვენმა გუნდმა საახალწლო ტურნირში მიიღო მონაწილეობა, ამჯერად უკვე საარბრიუკენში.

— საარბრიუკენის ტურნირში მონაწილეობდნენ დასავლეთ გერმანიის გუნდები „კაიზერსლაუტერნი“, „ჰომბურგი“, „აინტრახტ ტრიერი“, „საარბრიუკენი“ და თბილისის „დინამო“. საარბრიუკენი თბილისის დაძმობილებული ქალაქია და აქაც ინტერესით ელოდნენ ჩვენს ჩასვლას. ადრე საქართველოდან ამ ქალაქს ჩვენი სპორტული კოლექტივები სტუმრობდნენ, მაგრამ ფეხბურთელები არა. ძალიან გულთბილად მიგვიღეს.

● საარბრიუკენში, ახე ვთქვათ, უკვე მინიტურნირში მონაწილეობის გარკვეული გამოცდილებით ჩასვლდით...

— პირველ ტურში „აინტრახტ ტრიერს“ ვეთამაშეთ. ვიგებდით ანგარიშით 3:1, მაგრამ... წავაგეთ — 3:4. იმავე დღეს ტურნირის მასპინძლებთან ფრედ ვითამაშეთ — 3:3, შემდეგ კი 5:0 მოვუგეთ „კაიზერსლაუტერნს“ — ტურნირის ყველაზე ძლიერ გუნდს. როგორც ხედავთ, ერთ დღეს სამი მატჩი ვითამაშეთ, თითო მატჩი 24-24-წუთიანი იყო (12-12-წუთიანი ტაიმებით). ფინალში გასვლის უფლება რომ მიგვეღო, მეორე დღეს აუცილებლად უნდა მოგვეგო „ჰომბურგთან“. მოვიგეთ კიდეც — 2:1. ფინალში კვლავ მასპინძლებს შევხვდით. ძირითადი დრო — 3:3, დამატებით დროში ანგარიში არ შეცვლილა, ამიტომ დაინიშნა დამატებითი პენალტები, 8-მეტრიანი დარტყმები. აქ ვიმარჯვეთ — 9:8 ჩვენს სასარგებლოდ. ამ ტურნირში საუკეთესო მეკარის პრიზი ოთარ გაბელიას გადაეცა. სხვათა შორის, მან ორივე ტურნირში ტრავმირებულმა ითამაშა, რადგან შემცვლელი მეკარე არ გვყავდა. საუკეთესო ბომბარდირის პრიზი დაიმსახურა მამუკა ფანცულაიამ, რომელმაც 8 ბურთი გაიტანა. ტურნირის მთავარი პრიზიც ჩვენ გადმოგვცეს, მაგრამ თამამად მინდა გითხრათ, ყველაზე საამაყო ჯილდო ჩვენთვის ის დიდი ინტერესი, ყურადღება და სითბო, თუ გნებავთ აღიარებაც იყო, რასაც ჩვენი გუნდის მიმართ იჩენდნენ მასპინძლები და მაყურებლები. იყო მომენტები, როცა მთელი დარბაზი „დინამო“-„დინამოს“ გაიძახოდა, თუ, ცხადია, ჩვენი მეტოქე მასპინძელი ქალაქის გუნდი არ იყო.

● ალბათ, ამ მატჩებმა გარკვეული გამოცდილება შეგძინათ...

— ჩვენი გამგზავრება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ახალი სეზონისთვის მზადების გეგმაში შედიოდა. ეს პირველი შემთხვევაა, როცა თბილისის „დინამო“ ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ პირდაპირ შეუდგა მზადებას უცხოეთის წამყვან გუნდებთან ძალების

ᲘᲮ. ᲛᲔ-4 ᲒᲕ.

ᲜᲝᲠᲩᲘ ᲛᲣᲨᲙᲔᲢᲔᲠᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲘᲙᲠᲘᲑᲔᲑᲘᲐᲜ

ᲨᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ყველას უყვარს, ამ თამაშში თითქოს ყველა ერკვევა, აი ფარიკაობა კი?!.. ბევრი როდი დაიტრაბახებს მისი ნიუანსების ცოდნით...

თბილისში ერთი სანდომიანი, ტანდაბალი, ტკბილმოუბარი კაცი დადის. ტრიფონ მესხი, შინაურ-მეგობრები უბრალოდ ბიჭიკოს რომ ეძახიან. მე რომ მკითხონ, ამ ცნობილ სპორტულ აღმზრდელს — საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს, ბოლო დროის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელის ტიტულს მივაკუთვნებდი საქართველოში. იგი ხომ შესანიშნავი სპეციალისტია, ბევრი ჩემპიონისა და ოსტატის აღმზრდელი. ტრიფონ მესხის აღზრდილთა სიაში, მაგალითად, ოლიმპიური ჩემპიონიც არის (ნუგზარ ასათიანი), მსოფლიო ჩემპიონიც (გურამ კოსტავა), იუნიორთა მსოფლიო პირველობის ჩემპიონებიც (გურამ ლორთქიფანიძე და გივი ანდრიაძე), ქვეყნის ჩემპიონიც (მორის სახვაძე), სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულიც (ოთარ კიკალიშვილი) და სხვა.

ჰოდა ამ მოუსვენარმა კაცმა, ერთ მშვენიერ დღეს, საბურთალოზე, პავლოვის ქუჩაზე, საშენ მასალათა კომბინატის სიახლოვეს მდებარე ერთ თეთრ ოთხსართულიან შენობას, 101-ე საშუალო სკოლას მიაკითხა. 500 ბავშვი სწავლობს ამ სკოლაში, როშლის ისტორია სულ 12 წელიწადს ითვლის.

„500 ბავშვი — ეს ხომ... 500 მუშკეტერია!“ — არა, ცხადია, ყველასგან დაშნის, რაპირისა თუ ხმლის დიდოსტატი არ გამოვა, მაგრამ მწვრთნელს სხვა აზრი უტრიალებდა — რა იქნება, ეს სკოლა ფარიკაობის სპეციალიზებულ სკოლად გადავაქციოთ, ხომ არის ჩვენს ქალაქში ფეხბურთის, კალათბურთის სპეციალიზებული სკოლები და კლასები. ჩანაფიქრი ჭალე რეალობად იქცა.



ნორჩ მუშკეტერებთან ვარჯიშს დღეს „თვით“ ტრიფონ მესხი ატარებს. ჯემალ კასრაძის ფოტო.

ფარიკაობის შემდგომი განვითარების ხელმძღვანელების სამუშაო ჯგუფმა (რომელსაც რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ნუგზარ საჯაია ხელმძღვანელობს) და საქართველოს სპორტსახკომშა რესპუბლიკაში ფარიკაობის განვითარების მთელი რიგი ღონისძიებები შეიმუშავეს, რომელთა შორის ახლო მომავალში თბილისის განათლების სამმართველო

ᲘᲮ. ᲛᲔ-3 ᲒᲕ.

„ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲗᲘ“ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ



ᲑᲝᲚᲝ ხანებში, როგორც ცნობილია, ბევრი რამ კეთდება მოზარდი თაობის ჯანმრთელობის გაკაჟებისა და მოძრაობითი აქტიურობის ამაღლებისათვის. ჩვენ ადრე ვიუწყებოდით, რომ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში ყოველდღიური „ჯანმრთელობის საათის“ შემოღების შესახებ“. ახლახან ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ.

გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ „ჯანმრთელობის საათი“ უნდა შემოიღონ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და სკოლა-ინტერნატებში ყველგან, სადაც არის შესაბამისი პირობები.

კოლეგიამ ამასთან დაამტკიცა მეთოდური რეკომენდაციები.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების სამმართველოებს და განყოფილებებს დაევალათ მეთოდური რეკომენდაციების შესაბამისად უზრუნველყონ „ჯანმრთელობის საათის“ ჩატარების პირობები და შეიტანონ იგი ყველა სკოლისა და თითოეული კლასის დღის რეჟიმში.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲐ. დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში ახალგაზრდებს შორის. ბოლო ტურის მატჩები ასე დამთავრდა: კანადა — პოლონეთი 9:1, სსრ კავშირი — გფრ 12:2, შვეიცარია — აშშ 7:5, ფინეთი — ჩეხოსლოვაკია 2:1.

გათამაშების საბოლოო ცხრილი ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
კანადა	7	6	1	0	37-16	13
სსრ კავშირი	7	6	0	1	44-18	12
ფინეთი	7	5	1	1	36-20	11
ჩეხოსლოვაკია	7	3	1	3	36-23	7
შვეიცარია	7	3	1	3	36-24	7
აშშ	7	1	0	6	28-46	2
გფრ	7	1	0	6	18-47	2
პოლონეთი	7	1	0	6	12-53	2

მსოფლიო ჩემპიონატის დირექტორატმა დაასახელა ტურნირის სამი საუკეთესო მოთამაშე: მეკარე ჯიმი უაიტი (კანადა), მცველი — ტეპო ნუმიანენი (ფინეთი), თავდამსხმელი — ალექსანდრე მოგილნი (სსრ კავშირი). ჟურნალისტებმა, თავის მხრივ, იდეალური ნაკრები შეადგინეს, რომელშიც შევიდნენ: მეკარე — უაიტი, მცველები — ნუმიანენი და გრეგ ჰოგუდი (კანადა), თავდამსხმელები — პეტერ ხრბეკი (ჩეხოსლოვაკია), ტერენ ფლერი (კანადა) და მოგილნი.

ვაკის უბნის ერთ-ერთ მყუდრო კუთხეში, სადა, იზოლირებულ ბინაში, სადაც ჩვეულებრივად, დროდადრო არ მოდის ცხელი წყალი, წყდება ელექტროენერგიის მიწოდება და კედლები მოფენილია არაჩვეულებრივად საინტერესო ფერწერული ტილოებით, ცხოვრობს საოცრად თბილი ქართული ოჯახი, სპორტის ენით რომ ვთქვათ, დარბაისელი ოჯახის უფროსის, მომხიბვლელი ქალიშვილისა და კეთილი, ენაწყლიანი დიასახლისის შემადგენლობით.

გახსოვთ მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლის „ძველი ვოდევილების" პერსონაჟი, მოწმე ქალი, რომელსაც ერთს ეკითხებიან და მეორეს უპასუხებს, ბოლოს კი განაცხადებს, მაგ საქმისა არაფერი ვიციო?

ამ კეთილ, ენაწყლიან დიასახლისსაც ნებისმიერ კითხვაზე დაუსრულებლად შეუძლია ილაპარაკოს... თეატრზე.

ეს — ხუმრობით, სერიოზულად კი რესპუბლიკის სახალხო არტისტს, რუსთაველის თეატრის მსახიობს, ქალბატონ მარინე თბილელს შეუძლია თავის პროფესიაზე საუბრისას საოცრად ხილული პარალელი გაავლოს თქვენთვის საინტერესო თემასთან.



ყველაზე მაღალი წოდება ხალხის პატივისცემაა...

● **ქალბატონო მარინე, გიყვართ სპორტი?**

— სპორტს დიდ პატივს ვცემ. მიყვარს კალათბურთი, ფეხბურთი, ჭადრაკი. ისევე როგორც სცენა, სპორტიც თვითგამოვლენის საუკეთესო საშუალებაა, ოღონდ ეგაა, კახეთიდან კი ვარ წარმოშობით, მაგრამ ჭიდაობა და ორთაბრძოლები რატომღაც არ მიზიდავს.

● **თვითონ თქვენ თუ გაკავშირებთ რაიმე სპორტთან?**

— თეატრალურ ინსტიტუტში სწავლის დროს რიტმიკაში ვვარჯიშობდით. რიტმიკული ეტიუდები ძალიან ახლოსაა მხატვრულ ტანვარჯიშთან. საერთოდაც, მსახიობისა და სპორტსმენის პროფესია ძალზე ახლოსაა ერთმანეთთან. თუ მსახიობი მთელი არსებით არ ასრულებს როლს, ვერაფერს მიაღწევს. წარმატება თეატრში იოლად არ მოდის. როდესაც სცენაზე გამოდიხარ, აშკარად გეტყობა, როგორ ხარ მომზადებული, როგორ ჩასწვდი დრამატურგისა და რეჟისორის ჩანაფიქრს. მაყურებლის წინაშე რომ წარსდგები, შენს თავს არ უნდა ეკუთვნოდე. იმ წუთებში მხოლოდ შენი გმირის ცხოვრებით უნდა ცხოვრობდე. ეს საოცრად ამაღლებული გრძნობაა. ასეა სპორტშიც... ერთხელ ტელეეკრანზე პელე ვნახე. არ დამავიწყდება როგორ გადაიწერა თამაშის დროს პირჯვარი — მეგონა იმ წუთში ღმერთთან მართლა რაღაც უხილავი კავშირი ჰქონდა! მახსოვს, ახალგაზრდობაში სპექტაკლზე დამაგვიანდა. აკაკი ვასაძემ საყვედურით კი არა, ისე, უბრალოდ მითხრა: როდესაც სპექტაკლი მიდის, შენს გამოსვლამდე ხუთი წუთით ადრე კულისებში უნდა იდგე და ყური დაუგდო, სცენა რა რიტმით სუნთქავსო, შენი შესვლით დისონანსი არ უნდა შეიტანოო. ჭეშმარიტი სპორტსმენიც შეჯიბრებისთვის ალბათ ასე უნდა ემზადებოდეს.

● **ქალბატონო მარინე, თქვენი აზრით, სპორტსმენი თეატრზე, ხელოვნებაზე ნაკლებად უნდა ფიქრობდეს?**

— შეჯიბრების დროს კი. ისე გაუნათლებელი, უინტელექტო სპორტსმენი სპორტშიც არ უქნია ღმერთს. იგი უცებ დაიკარგება ხალხისთვის. ინტელექტი სპორტში ისევე ჩანს, როგორც სცენაზე.

ჩვენთვის, მსახიობებისთვის განსაკუთრებით საყვარელი ნონა გაფრინდაშვილი არც ერთ საინტერესო საღამოს არ აცდენს. ასეთი საღამო-შეხვედრა კი ბევრი მახსოვს: კონსტანტინე გამსახურდიასთან, ვერიკო ანჯაფარიძესთან, ვასო გოძიაშვილთან, სესილია თაყაიშვილთან... ვინ მოთვლის. მიხარია, როდესაც სპორტსმენები ხელოვნებასთან ახლოს არიან.

● **თქვენ თუ გაინტერესებთ ნონას ხელოვნება?**

— ჭადრაკის არაფერი მესმის, მაგრამ ძალიან მახარებს ჩვენი მოჭადრაკე ქალების წარმატებები. დიდ პატივს ვცემ მაია ჩიბურდანიძეს. როდესაც მაიას ჭადრაკის დაფაზე თავდახრილს ვუყურებ, თითქოს ცხადად ვგრძნობ მის ნიჭიერებას. ძალზე განვიცდიდი კასპაროვ-კარპოვის მატჩის პერიპეტიებს, მიხარია, რომ მათ ქართველი მწვრთნელებიც ჰყავდათ...

● **„ლელოს" მკითხველი ბრძანდებით?**

— რა თქმა უნდა. „ლელო" მსახიობების უმეტესობის საყვარელი გაზეთია. საერთოდ, საინტერესო მასალა ან, ვთქვათ, საინტერესო სპორტული გადაცემა მიზიდავს. აქაც ბევრია საერთო სცენასა და სპორტს შორის. მაყურებელი ისევე ელოდება კარგ სპორტულ გადაცემას, როგორც კარგ სპექტაკლს. მან აუცილებლად კარგი შესრულება უნდა იხილოს, სხვანაირად ვერც ბილეთებს გაყიდი და ვერც მნახველს მოიზიდავ. ზოგჯერ ხდება, სპექტაკლი არ არის დღის სინათლეზე გამოსატანი, მაგრამ რას იზამ, მასზე უკვე ფულია დახარჯული... სპორტში ალბათ ასე არაა. მინდა გითხრათ ახალგაზრდების მიმართ დამოკიდებულებაზე. იშვიათად ხდება, რომ დამწყებ მსახიობს ვინმემ მწვრთნელივით „უპატრონოს", გზა გაუკაფოს მომავალი წარმატებებისაკენ. მე მჯერა, რომ სპორტში საუკეთესო ახალგაზრდები არ იკარგებიან და, თუ ეს ხდება, — მავნებლობაა! ერთხელ შევესწარი, პატარა ბავშვი გულამოსკვნით ტიროდა, მე უნდა წავსულიყავი შეჯიბრებაზე და სხვა გაუშვესო. თუ ეს მართლა უსამართლოდ მოხდა, ასეთმა მოქცევამ შეიძლება მოზარდს მთელი ცხოვრება დაუმახინჯოს. რა სინდისმა უნდა მისცეს უფლება რეჟისორს ან მწვრთნელს, ანგარების მიზნით უარესი უკეთესის წინ დააყენოს? პედაგოგზე ბევრია დამოკიდებული. როგორც მოქანდაკე ქანდაკებას, იგი ისე უნდა ძერწავდეს ჩვენს მომავალს — ფიზიკურად, მაგრამ მომთხოვნად, რადგან ქართველებს შრომისმოყვარეობა ცოტა არ იყოს გვაკლია. მარტო ნიჭიერება კი ცოტაა. ნიჭს გაღვივება, განმტკიცება სჭირდება. ილიკო სუხიშვილმა და ნინო რამიშვილმა მომთხოვნელობით მიაღწიეს ქართული ცეკვის მსოფლიო ტრიუმფს. გასტროლების დროს, რამდენიმე ქვეყანაში, ჩვენი საგრიმიორო ოთახებიდან სპორტული მოედნები ჩანდა. ვხედავდი, კალათბურთელები საათობით როგორ ისროდნენ კალათში ბურთს. ვუყურებდი და მშურდა. უცხოელები გაოცებულნი არიან

გულშემატკივრის კუთხე

ხოლმე ჩვენი ნიჭიერებით, მაგრამ ნიჭს, როგორც ვთქვი, მოვლა სჭირდება.

● **ქალბატონო მარინე, არის ზოგიერთი ქვეყანა, რესპუბლიკა, სადაც ჩვენზე ნაკლები ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი ჰყავთ, მაგრამ სპორტის საერთო განვითარების მხრივ ჩვენზე წინ არიან. თქვენი აზრით, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ უცხოურ სარბიელზე თავის გამოჩენისთვის უფრო ვზრუნავთ?**

— როგორ გითხრათ. ხანდახან ამბობენ, თქვენ, რუსთაველელები, სპექტაკლებს საზღვარგარეთისთვის ამზადებთო. ასე არ არის. თუ ჩვენმა თეატრმა უცხოეთში რაიმეს მიაღწია, მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოში თეატრალური ხელოვნება მაღალ დონეზე დგას. სპორტსმენი რომელიმე სახეობაში მსოფლიო მნიშვნელობის წარმატებას რომ მიაღწევს, ალბათ იმ სახეობაში ჩვენთან ყველაფერი რიგზეა. თუ ასე არაა, წარმატებაც დროებითი იქნება. კიდევ აი, რა მინდა ვთქვა: ძალიან გვჭირდება გულწრფელი კრიტიკა. წავიკითხე რ. ჯაფარიძის სტატია წოდებების შესახებ და მომეწონა. ჩვენი წოდება ხალხის პატივისცემა უნდა იყოს, ამაზე მაღალი დაფასება რა არის!

● **თქვენი ქალიშვილი, ბაია, თქვენს გზას გაჰყვა, მეუღლე, ბატონი აკაკი დვალიშვილი მჭიდრო კავშირშია ხელოვნებასთან. სპორტსმენ სიძეს თუ ისურვებდით?**

— რატომაც არა, თუ კოხტა ბიჭი იქნება. ხუმრობა იქით იყოს და, როდესაც ჭეშმარიტი სიყვარულია, პროფესიას რა მნიშვნელობა აქვს. ახალგაზრდებს ერთმანეთი უნდა უყვარდეთ, თავიანთი საქმე უნდა უყვარდეთ, თავიანთი ერი და ოჯახი! სიყვარულია მთავარი და ყველა „სეზონი" კარგი იქნება. წარმატებებს ვუსურვებ ჩემს კოლეგებსა და ჩვენს სპორტსმენებს 1988 წლის სეზონში!

ვახტან ნადირაძე.

„მწვანე ჰოკეის" ამბები

სამი ნაბიჯი წინ

დამთავრდა ბალახის ჰოკეისტ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი პირველი ლიგის გუნდებს შორის. ქუთაისის „ლოკომოტივმა" მეორე წრის ფინიშზე ლიდერთა ჯგუფის რამდენიმე წარმომადგენელი დაამარცხა და სატურნირო ცხრილში მეშვიდე ადგილი დაიკავა. ამრიგად, ქუთაისელმა ჰოკეისტებმა 1986 წელთან შედარებით უკეთ ისპარეზეს — სამი საფეხურით ზემოთ აინაცვლეს, რაც ამ ახალგაზრდული კოლექტივის უდავო წარმატებად უნდა მივიჩნიოთ.

შარშანდელ სეზონში „ლოკომოტივის" ღირსებას იცავდნენ მეკარეები მ. ჯოჯუა (39 თამაში, გაუშვა 40 ბურთი), რ. ამაღლობელი (5, 11) და დ. ნარსია (5, 6); მინდვრის მოთამაშეები: ა. კოხრეიძე (43 თამაში, გაიტანა 10 ბურთი), მ. ფულარიანი (44, 10), ს. მამისეიშვილი (38, 1), დ. გოლეთიანი (36, 1), ა. მილოვი (32), გ. კუდუხოვი (39, 8), მ. ჭიკაძე (28, 11), ნ. მამედოვი (42, 5), ა. ჯანგავაძე (38, 4), ა. ძნელაძე (36, 2), ე. ტალაბაძე (6, 1), ი. ყუბანეიშვილი (20, 2), ე. გოგავა (18), ჭ. ბაზაძე (4, 1), გ. ჩარკვიანი (2, 1), ვ. დათიაშვილი (16), ე. ხაზარაძე (6), დ. გვეტაძე (4) და ზ. შენგელია (2).

აღსანიშნავია, რომ ქუთაისის „ლოკომოტივის" ძირითადმა მეკარემ მ. ჯოჯუამ წლევანდელ სეზონში 12 პენალტი მოიგერია, აქედან სამი — ერთ თამაშში.

რეზერვების დათვალიერება

ქუთაისის ცენტრალური სტადიონის ბალახის ჰოკეის ხელოვნურსაფარიან მოედანზე (სპეციალისტების აზრით, ეს მოედანი ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენს ქვეყანაში) ჩატარდა საქართველოს პირველობა 1970–1971 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის. ამ შეჯიბრების შედეგები ჭაბუკთა მეორე რესპუბლიკური თამაშების ჩათვლაში შედიოდა.

ვაჟთა გუნდებს შორის იასპარეზეს თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, ლანჩხუთისა და წყალტუბოს კოლექტივებმა.

მოსალოდნელი იყო და ასეც მოხდა: ქუთაისელმა ჰოკეისტებმა დაამარცხეს თბილისის (3:1), წყალტუბოს (3:2), ლანჩხუთისა (6:0) და ბათუმის (6:1) გუნდები და დამაჯერებლად დაიკავეს პირველი ადგილი (გუნდის მწვრთნელია ჯ. კერესელიძე).

მეორე ადგილზე გავიდნენ წყალტუბოელი (მწვრთნელი ა. ჯანგავაძე), მესამეზე — ლანჩხუთელი (მწვრთნელი ა. ბარამიძე) ჰოკეისტები. წარუმატებლად იასპარეზეს თბილისისა და ბათუმის გუნდებმა.

ტურნირის საუკეთესო ჰოკეისტებისთვის დაწესებული პრიზები გადაეცათ ზ. კეპულაძეს (წყალტუბო), კ. სვანიძეს (ქუთაისი), რ. ვარშანიძეს (ბათუმი) და გ. ჩარკვიანს (ქუთაისი).

ამ ჰოკეისტების გარდა თავი გამოიჩინეს გ. არველაძემ, გ. ქართველიშვილმა, დ. გეგუჩაძემ, ს. გოქაძემ, პ. შენგელიამ (ქუთაისი), კ. ბაზმანმა, რ. წიქორიძემ (წყალტუბო), ჯ. მიქელაძემ (ბათუმი), გ. კუდუხოვმა, ე. ხაზარაძემ (თბილისი), თ. ჩხაიძემ და დ. ცინცაძემ (ლანჩხუთი).

დაკომპლექტდა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები, რომელიც წელს ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას დაიცავს ჭაბუკთა საკავშირო თამაშებზე.

გოგონებიც თამაშობენ ჰოკეის...

დიახ, საქართველოში გოგონებიც თამაშობენ ბალახის ჰოკეის და, როგორც ქუთაისში ჩატარებულმა ტურნირმა გვიჩვენა (ისე, როგორც ვაჟებმა, გოგონებმაც საქართველოს პირველობისა და ჭაბუკთა თამაშების პროგრამით იასპარეზეს), ისინი სერიოზულ მიზნებს ისახავენ. მართალია, მათ თამაშში ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზი შეინიშნება, მაგრამ მონდომება უკეთესი მომავლის იმედს გვისახავს.

შეჯიბრებაში მხოლოდ ქუთაისელი, ბათუმელი და ლანჩხუთელი გოგონები მონაწილეობდნენ. ამჯერადაც რიონისპირელებმა იმარჯვეს. მათ ერთნაირი ანგარიშით (4:0) დაამარცხეს ორივე მეტოქე და პირველი ადგილი დაიკავეს. მეორე ადგილი წილად ხვდათ ბათუმელებს, რომლებმაც დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს ლანჩხუთელები — 2:1.

საუკეთესო ბომბარდირისთვის დაწესებული პრიზი ორმა ქუთაისელმა გოგონამ, ჯ. ცხადაძემ და მ. მამარდეიშვილმა გაიყო, ხოლო მათ თანაგუნდელ ე. კილაძეს ყველაზე ტექნიკური ჰოკეისტისთვის განკუთვნილი პრიზი გადაეცა.

გამარჯვებული გუნდის მწვრთნელმა ა. თევდორაძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა:

— წლების განმავლობაში ჩვენში ქალთა ჰოკეის სათანადო ყურადღება არ ექცეოდა, მაგრამ ბოლო დროს მდგომარეობა გამოსწორდა. მას შემდეგ, რაც ჩვენი შეფი აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება (დირექტორი მ. მელქაძე, ინსტრუქტორი რ. ხურციძე) გახდა, ბევრი პრობლემა გადაიჭრა. შეგვიძინეს ფორმა, ინვენტარი, საწვრთნელი შეკრებაც მოგვიწყეს.

წელს „ფეიქარი" მონაწილეობას მიიღებს 1972-73 წლებში დაბადებულ ჰოკეისტთა საკავშირო პირველობაში, შემდეგ შესარჩევ ტურნირში ვიასპარეზებთ, წარმატების შემთხვევაში, პირველი ლიგის საგზურს მოვიპოვებთ.

თამაზ კოლხიდელი,
(„ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი).

ქუთაისი.

ქუთაისის ბალახის ჰოკეისტ გოგონათა გუნდი „ფეიქარი".

თემურ ჯავახაძის ფოტოები.

მორიგი ვარჯიში დაიწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძლიერესთა სიაში ორი ქართველი ჩოგბურთელია

საბჭოთა კავშირის ჩოგბურთის ფედერაციამ დაამტკიცა საკლასიფიკაციო სიები 1988 წლის 1 იანვრისათვის. უძლიერესთა ათეულში შემდეგი სპორტსმენები მოხვდნენ:

ქალები. 1. ნ. ზვერევა (1971 წელს დაბადებული, მინსკი), 2. ლ. სავჩენკო (1966, ლვოვი), 3. ლ. მესხი (1968, თბილისი), 4. ნ. მედვედიევა (1971, კიევი), 5. ნ. ბიკოვა (1966, მოსკოვი), 6. ვ. მილვიდსკაია (1967, მოსკოვი), 7. ს. პარხომენკო (1962, მოსკოვი), 8. ა. ხალათიანი (1967, ერევანი), 9. ე. მანიუკოვა (1968, მოსკოვი), 10. ე. ელისეენკო (1959, დონეცკი).

ვაჟები. 1. ა. ჩესნოკოვი (1966, მოსკოვი), 2. ა. ვოლკოვი (1967, კალინინგრადი), 3. ა. ოლხოვსკი (1966, მოსკოვი); 4. ა. ვისანდი (1966, ტალინი), 5. ა. ზვერევი (1960, მოსკოვი), 6. გ. ძელე, (1963, რიგა), 7. ვ. გაბრიჩიძე (1968, თბილისი), 8. ა. დოლგოპოლოვი (1964, მოსკოვი), 9. ი. კროჩკო (1963, უფგოროდი), 10. დ. ლომანოვი (1963, მოსკოვი).

როგორც ხედავთ, ათეულებში ორი ქართველი სპორტსმენია შეყვანილი — ლეილა მესხი და ვლადიმერ გაბრიჩიძე. მესხი, ამავე დროს, საბჭოთა კავშირის ნაკრების კანდიდატთა იმ სიაში მოხვდა, რომლებმაც XXIV ოლიმპიურ თამაშებში უნდა იასპარეზონ. ქალთა შორის ნაკრების კანდიდატებად დასახელებული არიან, აგრეთვე, ზვერევა და სავჩენკო.



მწვრთნელი ნოდარ დიდია დავალებას აძლევს ახალგაზრდა მოფარიკაველებს, მარცხნიდან — დიმიტრი და ხატია მეძმარიაშვილებს, დავით დოლუაშვილს.

ნორჩი მუშკეტერები ერთად იკრიბებიან

დასასრული

ლოს ფარიკაობის სპორტსკოლის შექმნის საკითხიც შედის. ამ მიზნით არჩევანი 101-ე სკოლაზე შეაჩერეს. თანაც ფარიკაობაში ამ სკოლას ურიგო ტრადიციები როდი აქვს. თავად განსაჯეთ: ამ სკოლაში სწავლობს საქართველოს ორგზის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის დაშნით ფარიკაობაში, მეცხრეკლასელი დიმა მეძმარიაშვილი, რომელიც ახლა მოსწავლეთა საკავშირო შეჯიბრებებისათვის ემზადება. ეს შეჯიბრება სულ მალე ყაზანში გაიმართება.

დიმას არც მისი **უმცროსი ძმა,** მეშვიდეკლასელი ხატია ჩამორჩება. ისიც პირველთანრიგოსანია, ოღონდ მოზარდთა შორის, ნიჭიერი სპორტსმენი დიდი მონდომებით ვარჯიშობს. წლეულს თბილისის პირველობაზე რაპირისტ გოგონებს შორის ეს გოგონა მეოთხე ადგილზე გავიდა.

— ვფიქრობ, მისგანაც კარგი მოფარიკავე დადგება, — გვეუბნება სკოლის ფიზკულტურის უფროსი მასწავლებელი ვალერიან ბაზლიძე (სხვათა შორის, იგი ამ სკოლაში მეექვსე წელიწადია მუშაობს, პედაგოგიური სტაჟი კი ოთხჯერ მეტი აქვს). სკოლა სამართლიანად ამაყობს სხვა მოფარიკაველებითაც, ესენია: პირველთანრიგოსანი დავით დოლუაშვილი, ილია მაღრაძე, პავლე სხირტლაძე...

101-ე სკოლაში სპორტსმენები მხოლოდ ფარიკაობას როდი ეუფლებიან. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ ივარჯიშონ კალათბურთში, ფრენბურთში, მინიფეხბურთში...

ვალერიან ბაზლიძისა და ფიზკულტურაში პედაგოგ-აღმზრდელის ავთანდილ ხურციელავას დიდი დამსახურებაა (ცხადია, სკოლის ხელმძღვანელობასთან ერთად), რომ ამ სკოლის წარმომადგენლები ერთ-ერთი პირველნი არიან ორჯონიკიძის რაიონის სკოლების მოსწავლეთა შორის.

სკოლას აქვს საკმაოდ დიდი (24X12 მეტრზე), ნათელი, მაღალჭერიანი სპორტული დარბაზი. ტრიფონ მესხთან ერთად, რომელიც აქ კონსულტაციებს ატარებს, მოფარიკავეთა ვარჯიშს ხელმძღვანელობენ გამოცდილი მასწავლებლები, თავიანთი საქმის დიდი ენთუზიასტები, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ნოდარ დიდია

დარბაზშია „შესანიშნავი ხუთეული“.

და სვეტლანა სვანიძე. ჩვენც ამას წინათ, სწორედ მათ ვარჯიშს დავესწარით.

— მეხუთეკლასელები არიან „ა“ ჯგუფიდან, სწორედ ეს კლასი ავირჩიეთ სპორტულ, ძირითადად საფარიკაო სპეციალად, — გვეუბნება სკოლის დირექტორი, სპორტის მართლაც დიდი ქომაგი ვიტალი დემეტრაძე. — კლასში ოცდათოთხმეტი ბავშვია, მათ შორის თოთხმეტი ბიჭი. ცხადია, ყველა ფარიკაობის წრეში არ არის გაერთიანებული. ზოგმა ფეხბურთი თუ სპორტის სხვა სახეობა აირჩია. სამწუხაროდ, რამდენიმე მოსწავლე ჯერ კიდევ სპორტის არც ერთ სახეობაში არ არის ჩაბმული. ამ საკითხზე მუშაობა საჭირო იქნება როგორც თვით ბავშვებთან, ისე მათს მშობლებთან.

მეხუთეკლასელთა დამრიგებელი ცისანა გოგელიაც კმაყოფილია სპორტული კლასით. ბავშვები უფრო გააქტიურდნენო, თითქოს უფრო გამოცოცხლდნენ კიდეც, ამაღლდა აკადემიური მოსწრება და დისციპლინაო.

— ჩვენს სკოლას, ისევე როგორც ახლომდებარე ორმოცდამეერთე საბავშვო ბაღს, საშენ მასალათა კომბინატი უწევს შეფობას, — განაგრძობს ვ. დემეტრაძე — ალბათ, შეფები, პირველ ყოვლისა, კომბინატის დირექტორი, სპორტის დიდი გულშემატკივარი დავით სულაძე, დაგვეხმარებიან სკოლის სპორტდარბაზის კაპიტალური რემონტის ჩატარებასა და სპორტინვენტარით აღჭურვაში. სხვათა შორის, განზრახული გვაქვს ფარიკაობის პოპულარიზაციის მიზნით ზემოხსენებული საბავშვო ბაღის აღსაზრდელთათვის საჩვენებელი შეჯიბრება ჩავატაროთ. ვინ იცის, იქნებ ოთხი-ხუთი წლის გოგობიჭებს ამთავითვე შეუყვარდეთ სპორტი.

ბოლოს და ბოლოს, ფიზკულტურისა და სპორტის უმთავრესი ამოცანა ხომ სწორედ ეს არის. მართლაც კარგ საქმეს აკეთებენ ტრიფონ მესხი და მისი ენერგიული, თავისს საქმის უსაზღვროდ მოყვარული თანამოაზრენი.

ოთარ ნოზაძე.

ჯემალ კასრაძის ფოტოები.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

„მედღეხვალიე კაცსაო“

„ლელოს“ გასული წლის 27 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ წერილში („მედღეხვალიე კაცსაო“) მოყვანილი ფაქტები, რომელიც შეეხებოდა გეგეჭკორის რაიონის ზოგიერთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სპორტსკოლაში მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისისათვის სპორტული ბაზების მდგომარეობისა და მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისადმი გულგრილი დამოკიდებულების ფაქტებს, სინამდვილეს შეეფერება.

გეგეჭკორის რაიონის განათლების განყოფილებამ კრიტიკული წერილის გამოქვეყნების შემდეგ რაიონის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით, აგრეთვე სკოლათა პედაგოგიური კოლექტივების მეცადინეობით, არსებული ნაკლოვანებები მინიმუმამდე შეამცირა, კერძოდ, ლეხაინდრაოს საშუალო სკოლაში სპორტდარბაზის იატაკი მთლიანად გამოიცვალა, შეიღება დარბაზის კედლები, მოეწყო გასახდელები. განახლების პროცესშია ღია სპორტული მოედნები.

ბანძის სკოლაში კეთილმოეწყო ღია სპორტული მოედნები, გეგეჭკორის მე-3 საშუალო სკოლაში უკვე მწყობრშია კალათბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის ღია მოედნები. დასასრულს უახლოვდება კალათბურთის ახალი ღია მოედნის კეთილმოწყობა.

აბედათის საშუალო სკოლის სპორტდარბაზში ჩაისვა ფანჯრები. რეკონსტრუქციის სამუშაოები ჩაუტარდა სპორტსკოლის შენობას და ამჟერად აქ სექციური მუშაობის ჩასატარებლად უკეთესი პირობებია შექმნილი.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ჯერ კიდევ დარჩენილია ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოები მუხურჩის საშუალო სკოლის სპორტდარბაზში, აქ სამუშაოებს უსაფუძვლოდ აჭიანურებს გეგეჭკორის რაისარემონტო კანტორა. დაუმთავრებელია აგრეთვე სპორტდარბაზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები გეგეჭკორის მე-2 და მე-3 საშუალო სკოლებში.

„ლელოს“ კრიტიკულ გამოსვლასთან დაკავშირებით სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე საგანგებოდ განვიხილეთ საკითხი რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სპორტული ბაზებისა და მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდაში არსებული ნაკლოვანებების შესახებ. მათ აღმოსაფხვრელად დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი.

ლ. ჯვებენავა,
გეგეჭკორის რაიონის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე.

ლიისს იქით და ლიისს აქეთ...

ტყიბული

ინდუსტრიული ტექნიკუმის მეთორმეტე სპარტაკიადაზე, რომლის პროგრამაში იყო მძლეოსნობა, მშდ, მრავალჭიდი, მაგიდის ჩოგბურთი, ტურისტული მრავალჭიდი, ფრენბურთი და კალათბურთი, გაიმარჯვა ელექტრომოწყობილობის 322-ე ჯგუფმა.

ელგერდ ბაძრაძე,
„ლელოს“ კორ.

თერჯოლა

გაიმართა რაიონის მოსწავლეთა გუნდური პირველობა ჭადრაკში. გამარჯვება მოიპოვა თერჯოლის პირველი საშუალო სკოლის ნაკრებმა. II ადგილი დაიკავეს თერჯოლის მე-2 საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა, ხოლო მესამე — ქვედა სიმონეთის მე-2 საშუალო სკოლის მოჭადრაკეებმა.

ივანო კუტალაძე.



ზუგდიდი

პროფკავშირული ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რაიონული საბჭოს სპარტაკიადაზე, რომლის პროგრამაში სპორტის 17 სახეობა იყო, კოლმეურნეობებს შორის ცაიშელმა სპორტსმენებმა იმარჯვეს. საბჭოთა მეურნეობებსა და წარმოება-დაწესებულებებს შორის უძლიერესი ზედა ეწერის ტექნიკუმის სპორტკლუბი „პროგრესი“ აღმოჩნდა.

გიორგი ბეჟია,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

სიღნაღი

მოსკოვის 112-ე საშუალო სკოლის მოსწავლეთა გუნდი „იუნოსტი“ რამდენჯერმე იყო დედაქალაქის ჩემპიონი „მხიარული სტარტების“ შეჯიბრებაში. ამ სახელოვან კოლექტივს ამას წინათ სიღნაღის რაიონის მაღაროს საშუალო სკოლის გუნდმა „ჩირაღდანმა“ უმასპინძლა, რაიონის სპორტულ კომპლექსში უამრავი მაყურებელი დაესწრო დამეგობრებული სკოლების შეჯიბრებას. ახეთი შეჯიბრებები მომავალშიც გაგრძელდება.

ს ურ ა თ ზ ე: ფეხბურთი — შეკრული ფეხებით.

სპარტაკ ჯანიაშვილის ტექსტი და ფოტო.

პროფკავშირების სპორტულ ორგანიზაციებში

დუშეთში ჩატარდა რაისაბჭოს პირველი კონფერენცია.

კონფერენციაზე შეიკრიბნენ დელეგატები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები.

დელეგატებმა აღნიშნეს, რომ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა ცალკეულ ორგანიზაციებში არადამაკმაყოფილებელია, არასაკმაოა სპორტული ბაზები, რაც აფერხებს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას.

რაისაბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს გურამ ბუჩაშვილი.

აბესალომ იორდანიშვილი,
დუშეთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

დაგვედევოდეთ თასი და... მედლებიც

დასასრული

მოსინჯვით. ასეთ ტურნირებში ხშირად მონაწილეობდნენ ხოლმე კიევის „დინამო“, მოსკოვის ვუნდები „სპარტაკი“, „ტორპედო“ და „დინამო“. სხვა მიზანიც გვქონდა — ავტორიტეტის აღდგენა, საკუთარი ძალების შემოწმება, ახალგაზრდების გამოცდა — ეს მათთვის დიდი გაკვეთილი იყო. რამდენი ხანია საერთაშორისო მატჩებში, თუნდაც ასეთ მიკროტურნირებში ბომბარდირი არ გვყოლია. აქ კი მამუკა ფანცულაიამ გამოიჩინა თავი— ფეხბურთელმა, რომლისთვისაც რამდენიმე თვის წინათ თბილისის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში არ მოიძებნებოდა ადგილი. ასე რომ, ის პერიოდი, რომელიც ადრე „დინამოს“ გეგმებში „ფანჯრად“ და თვით ფეხბურთელებისთვის ასე ვთქვათ, გართობის პერიოდად ითვლებოდა, ახლა აქტიური მზადებით შეივსო. თავად განსაჯეთ: ეს ათი დღე დასვენებისთვისაც გამოვიყენეთ და საკუთარი შესაძლებლობები სხვებთან პაექრობაშიც შევამოწმეთ. ჩვენი ბიჭები უცხოეთში პირველად შეხვდნენ ახალ წელს, თანაც თბილისის დროით 9 საათზე, 12 საათზე კი უკვე სასტუმროში ისვენებდნენ და მეორე დღის მატჩზე ფიქრობდნენ.

ჩვენ ვთვლით, რომ წლეულს „ვერდერთან“ გამართულმა მატჩებმა „დინამოს“ არა მარტო ავტორიტეტის აღდგენის პერსპექტივები დაუსახა, არამედ — კონტაქტების შემდგომი გაფართოებისაც. ახალგაზრდა ფეხბურთელებზეც ვფიქრობთ. მომავალში „ჰანოვერი“ აწყობს 1969-1970 წლებში დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა ტურნირს, რომელშიც „აიაქსის“, „ჰანოვერის“, „ვერდერის“, „კიოლნისა“ და სხვა ცნობილი გუნდების იუნიორი ფეხბურთელები მიიღებენ მონაწილეობას. „დინამოს“ ხელმძღვანელობამ სთხოვა საქართველოს სპორტსახკომს, გაგვიწიოს დახმარება, რათა ამ ტურნირში ჩვენმა ჭაბუკებმაც ითამაშონ. თხოვნაზე თანხმობა მივიღეთ. რა დასამალია: დიდ ფეხბურთს და დიდ გუნდს სწორედ ასეთი პრესტიჟული ტურნირები და ავტორიტეტიან გუნდებთან ურთიერთობა ქმნის.

● რამდენადაც ვიცით, 1981 წლის შემდეგ თბილისის „დინამოს“ უცხოეთის ტრადიციულ ტურნირებში მონაწილეობა არ მიუღია, მხოლოდ რამდენიმე მატჩი გავმართეთ ესპანეთის გუნდებთან.

— სწორი შენიშვნაა. არადა, ჩვენ 1981 წელს ევროპული თასის მოპოვებით შეძენილი ავტორიტეტი ვერ შევინარჩუნეთ, ახლა კი, ეტყობა, ჩვენ კვლავ გვიწევენ ანგარიშს. ჩვენთან კონტაქტები სურდათ ბრემენში და საარბრიუკენში, რამდენიმე მიწვევა მივიღეთ სხვა ქვეყნებშიც. ჩვენც მოვიწვიეთ „კარლ-მარქს-შტადტი“ ლესელიძეში, მოვიწვიეთ საარბრიუკენის ფეხბურთელებიც, ამ დაძმობილებულ ქალაქთან ურთიერთობას ტრადიციად ვაქცევთ.

● თქვენ ვინ და სად მიგიწვიათ?

— მიგვიწვიეს ამერიკის შეერთებულ შტატებში და საფრანგეთში. ამერიკაში ახლა დიდ პროპაგანდას უწევენ ფეხბურთს და იქ მხოლოდ მსოფლიოს საუკეთესო გუნდებს თუ იწვევენ. საბჭოთა კავშირიდან ჩვენზე შეაჩერეს არჩევანი. ეს დიდი პატივია, იგი „დინამოს“ ავტორიტეტის აღდგენაზე მეტყველებს.

● საარბრიუკენშიც რომ წაგეგოთ მატჩები?

— რა თქმა უნდა, ავტორიტეტი შეგველახებოდა. „ლელოს“ მკითხველებმა მინდა იცოდნენ: პირველ ტურნირში მარცხი ყველამ ძალიან განვიცადეთ, აბა, ვინ ისურვებს ავტორიტეტის შელახვას?

● როდის ჩამოვლენ ჩვენთან უცხოეთის გუნდები?

— მათი სტუმრობაც ახალი სეზონისთვის მზადების გეგმას დავუკავშირეთ. ბარემ აქვე გეტყვით: 9 იანვრიდან „დინამო“ ლესელიძეში ჩავა შეკრებაზე. იქ ორი კვირა დავრჩებით, მერე ისევ თბილისში დავბრუნდებით 4-5 დღით. 31 იანვარს ბათუმში ვითამაშებთ იუგოსლავიის ჩემპიონთან. იქიდან კვლავ ლესელიძეში ჩავალთ და სწორედ იმ პერიოდში ჩამოვა ჩვენთან „კარლ-მარქს-შტადტი“. 13 თებერვალს ალჟირში გავემგზავრებით ორკვირიან შეკრებაზე, იმ პერიოდში იქ ხელსაყრელი კლიმატია აქტიური ვარჯიშისთვის. ალჟირში მინიმუმ 4-5 თამაშს ჩავატარებთ, იქ ბოლო ხანებში საკმაოდ გაძლიერდა ფეხბურთი. 28 თებერვალს თბილისში დავბრუნდებით, ჩემპიონატამდე დარჩენილ 8 დღეში დაგეგმილი გვაქვს შეხვედვა ჩეკოსლოვაკიის „გეტებორგს“, რომელიც ჩვენთან ჩამოსვლას აპირებს იმ დროისთვის. ეს მატჩი ჩვენთვის, ასე ვთქვათ, გენერალური რეპეტიცია იქნება ჩემპიონატის წინ.

● რაკი ახალ ჩემპიონატზე ვსაუბრობთ, იქნებ სხვა სიახლეებზეც გვითხრათ რამე?

— ბევრს აინტერესებს აპირებენ თუ არა თამაშის გაგრძელებას ვეტერანი ფეხბურთელები. გულშემატკივრებისთვის, ცხადია, დასანანია, რომ ალექსანდრე ჩივაძემ ოფიციალურად გამოთქვა სურვილი თავი დაანებოს თამაშს. გვესმის, ეს დიდი დანაკლისი იქნება, მაგრამ, რას იზამ, ყველაფერს თავისი დრო აქვს. საშა ასევე ვაქაცურად გამოეთხოვა სსრ კავშირის ნაკრებს. კლუბიც და ჩვენი საზოგადოებრიობაც ამ ფეხბურთელს ღირსეულ პატივს მიაგებს. დანარჩენი ვეტერანები ჯერჯერობით გუნდში არიან და ვარჯიშობენ. რაც შეეხება სხვა სიახლეებს, ამაზე ადრე უკვე დაიწერა.

● ზემოთ არაფერი გვითქვამს იმ ფეხბურთელებზე, რომლებიც გფრში ჩატარებულ ტურნირებში მონაწილეობდნენ.

— „დინამოს“ ბრემენში და საარბრიუკენში ვერ გაუყვნენ ა. ჩივაძე და ს. ჭედია. მეკარე ჭანტურია გამგზავრების წინ ავად გახდა. ვეტერანებიდან თამაშობდნენ ო. გაბელია, თ. სულაქველიძე და რ. შენგელია. შემადგენლობა ძირითადად ახალგაზრდული იყო. გუნდში ახალმოწვეული ფეხბურთელები კი საგანგებო გეგმით თბილისში ემზადებოდნენ.

● ტურნირები, რომლებშიც „დინამო“ ახლა მონაწილეობდა, ალბათ ერთგვარად კომერციულიც იყო.

— მთლად ასე არ არის. ასეთ ტურნირებს ამ ქალაქებში სადღესასწაულო ღონისძიებების ხასიათი აქვს. ჰონორარი, რომელიც ფეხბურთელებმა მიიღეს, ძალზე უმნიშვნელო იყო.

● დღეს თქვენს ბაზაზე დიღომში ვერ შეეხვედით დინამოელთა უფროს მწვრთნელს გერმან ზონინს.

— ზონინი რამდენიმე დღით შინ გაემგზავრა და 9 იანვარს ლესელიძეში შემოგვიერთდება.

● „ლელოს“ მკითხველთა სახელით წარმატებას და ახალ გამარჯვებებს ვუსურვებთ „დინამოს“ მთელ კოლექტივს.

— არაფერს დავიშურებთ, რათა გულშემატკივრები წელს მაინც გავახაროთ.

ეხუბრა თენგიზ გაჩეჩილაძე.

ფეხბურთის საერთაშორისო ბიუროს ფედერაციაში

საერთაშორისო საფეხბურთო პრესაში ვრცლად გახმაურდა უელსის ფეხბურთის ასოციაციის პროტესტი იმის თაობაზე, რომ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში არასწორად დაკომპლექტდა ევროპის ზონები. კერძოდ, იმ ჯგუფებიდან, სადაც 5-5 გუნდია გაერთიანებული, ფინალში გადის 2-2 საუკეთესო, ხოლო იმ ჯგუფებიდან, სადაც 4-4 გუნდია მოხვედრილი — მხოლოდ გამარჯვებული. მეორე ადგილებზე გასული გუნდებიდან უპირატესობა მიეკუთვნება არა უშუალოდ ერთმანეთთან ჩატარებული თამაშებით, არამედ ქვეჯგუფებში ნაჩვენები შედეგების მიხედვით. უელსელები იმ აზრისა არიან, რომ ფინალის საგზურის მოსაპოვებლად საჭიროა ეს გუნდები უშუალოდ შეხვდნენ ერთმანეთს დამატებით მატჩებში და არითმეტიკული წესით მათი გამოვლენა, რაც განხრახული აქვს ფიფა-ს, სპორტულ პრინციპს აშკარად ეწინააღმდეგება.

უელსელთა აზრს სხვებიც იზიარებენ, კერძოდ, ჰოლანდიის, პოლონეთის, დასავლეთ გერმანიისა და სხვა ფედერაციები.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ არ დააყოვნა რეაგირება. ამ ორგანიზაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა გ. ტონიონიმ განაცხადა:

— პროტესტი ლოგიკას მოკლებული არ არის, ჩვენც შზადა ვართ შევცვალოთ დებულების ეს პუნქტი, რახან ზემოაღნიშნულ ფედერაციებს იგი უმართებულოდ მიიჩნიათ. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციი წინააღმდეგი არაა დამატებითი ტურნირი მოაწყოს იმ გუნდებს შორის, რომლებიც ზემოაღნიშნულ ჯგუფებში მეორე ადგილებს დაიკავებენ, მაგრამ ამას გავაკეთებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დებულებაში ამ ცვლილების შეტანას მხარს დაუჭერს ევროპის საფეხბურთო ფედერაციათა უმრავლესობა. ეს პრობლემა გადაწყდება მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე 1988 წლის 1 მარტამდე.

ლიდერობს „იუგოპლასტიკა“

დამთავრდა იუგოსლავიის კალათბურთელთა ჩემპიონატის პირველი წრე. როგორც ვიუწყებოდით, კარგი სტარტი აიღო სპლიტის „იუგოპლასტიკამ“, რომელმაც უდანაკარგოდ განვლო ტურნირი და პირველი წრე ბრწყინვალე შედეგით დასრულა: 11 მატჩი — 11 გამარჯვება. როგორც ჩანს, ახალგაზრდა მწვრთნელმა ბოჟედარ მალიაკოვიჩმა სპლიტში საკმაოდ პერსპექტიულ გუნდს ჩაუყარა საფუძველი.

მეორე ადგილზეა ზაგრების „ცრბონა“, ლიუბლიანას „ოლიმპია“ დიდი ხნის განმავლობაში ჩრდილში იყო, მაგრამ წლევანდელ სეზონში ეს გუნდი კარგად თამაშობს. ლიუბლიანელებს 11 თამაშიდან რვა გამარჯვება აქვთ და მესამე ადგილზე იმყოფებიან. შვიდი გამარჯვება აქვთ „ზადარს“ და იუგოსლავიის შარშანდელ ჩემპიონს „პარტიზანს“.

მერაბ კალანდაძე.

„სპორტლოტო“

გუშინწინ შედგა „სპორტლოტოს“ მიმდინარე წლის პირველი ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 1 (კალათბურთი), 4 (კრივი), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 15 (ბიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობა), 21 (ცურვა), 43 (ტურიზმი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 2 (ბიატლონი), 18 (მძლეოსნობა), 28 (ტყვიის სროლა) 30 (ძალოსნობა), 31 (ფარიკაობა).

ბობი ბიმონი:

„მე რომ კალათბურთელი ვყოფილიყავი...“

ეს მოხდა თითქმის ოცი წლის წინ. მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებზე დამყარდა ფენომენალური მსოფლიო რეკორდი სიგრძეზე ხტომაში, რომლის ავტორი იყო მაშინ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, 21 წლის ამერიკელი სპორტსმენი ბობი ბიმონი. მას შემდეგ კარგა ხანმა გაიარა, მაგრამ ბიმონის სარეკორდო ნახტომი 8 მეტრი და 90 სმ დღემდე ხელშეუხებელია. 1987 წლის დეკემბრის ბოლოს იგი თავის მეუღლესთან ერთად დაეხწრო გდრ-ის საუკეთესო სპორტსმენთა დაჯილდოების ცერემონიალს. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „იუნგე ველტში“.

● თქვენ მიიღეთ გდრ-ის სპორტული ფედერაციის მიწვევა და ქვეყნის წლის საუკეთესო სპორტსმენების დაჯილდოებას ესწრებით, რას მოელით ამ შეხვედრიდან?

— კარგა ხანია მქონდა სურვილი ვწვეოდი ქვეყანას, სადაც ამდენი შესანიშნავი სპორტსმენი აღიზარდა. მიხაროდა აგრეთვე შეხვედრა თქვენს ცნობილ სპორტსმენთან და ჩემს უშუალო კონკურენტთან მეხიკოში კლაუს ბეერთან, რომელმაც დამსახურებულად მოიპოვა ოლიმპიური „ვერცხლი“. ყოველთვის მოიცებდა მარიტა კოხის წარმატებები. ახლა თქვენს რესპუბლიკას დიდი იმედი ჰყავს ზილკე გლადიშის [illegible]ახით. მან შესანიშნავად იასპარეზა რომში, მსოფლიო ჩემპიონატზე.

● 1968 წლის 18 ოქტომბერს თქვენს მიერ დამყარებულ მსოფლიო რეკორდს ოცი წელი შეუსრულდება. გიფიქრიათ კი ოდესმე მის ახეთ „დაბერებაზე“.

— არასოდეს. თვითონ მიკვირს, თუ როგორ „მოხუცდა“ იგი. არადა, სპორტსმენთა სავარჯიშო პირობები, სამედიცინო მომსახურება და ბევრი სხვა რამ კიდევ უფრო გაუმჯობესდა. ვფიქრობდი, რომ რეკორდი უნდა დაემხო ვინმეს, მითუმეტეს, რომ ამ პერიოდში არაერთი კარგი სპორტსმენი გამოჩნდა...

● რა კავშირი გაქვთ ამჟამად სპორტთან?

— სპორტს ვერ ჩამოვშორდი. ჩემს მეუღლესთან და წლინახევრის ჭალიშვილთან ერთად მაიამში ვცხოვრობ. გარკვეული დროის მანძილზე სხვადასხვა უნივერსიტეტში მწვრთნელად ვმუშაობდი. ვმოღვაწეობდი აგრეთვე მექსიკაში. ახლა კი, როდესაც სახლში ვარ, თავისუფალ დროს ახალგაზრდა ათლეტებს ვავარჯიშებ.

● 1968 წლის შემდეგ სპორტში ბევრი ცვლილება მოხდა. ახლა ბევრ პროფესიონალს სურს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა. რას გვეტყოდით ამის შესახებ.

— როდესაც პროფესიონალურ სპორტზე ვლაპარაკობ, ვიცი, რასაც ვგულისხმობ. ჩემი სპორტული კარიერის უკანასკნელ წელს მეც პროფესიონალებში გამოვდიოდი. სპორტული წარმატებების იდეალები სოლიდურმა თანხამ შეცვალა. მქონდა დრო, მეფიქრა და გარკვეული დასკვნები გამეკეთებინა. ვგრძნობდი, რომ ჩემი სულიერი სამყარო სიცარიელემ მოიცვა...

● აშშ-ში გამოვიდა თქვენი წიგნი — „ნეანიშნავი ნახტომი“. შეგიწყოთ თუ არა ამან ხელი, რომ გამხდარიყავით კიდევ უფრო პოპულარული?

—წიგნში მოთხრობილია რეკორდის შესახებ, თუ როგორ მზადდებოდა იგი, როგორ ვითარებაში დამყარდა. რაც შეეხება ჩემს პოპულარობას, იგი გაციებით უფრო დიდი იქნებოდა, მე რომ ვყოფილიყავი ბეისბოლის ან კალათბურთის მოთამაშე. მეზობლები ხანდახან მეკითხებიან კიდევაც, მქონდა თუ არა რაიმე საერთო სპორტთან...

პუბლიკაცია მოამზადა
მალხაზ რაჯიანმა.

ამერიკელი სპორტის ვარსკვლავები

უცხოური იუმორი.



ჟურნალი „შტარტი“ (ჩეხოსლოვაკია).

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05108